<u>საკონკურსო პირობები</u>

1.სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2.კონკურსის მიზანია სსიპ ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ სათაო ოფისის ტერიტორიაზე (მ. ასათიანის ქ. №9) მდებარე შენობების ფასადის (მ. ასათიანის ქუჩის მხარე) საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა, ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3.შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 12 000 (თორმეტი ათასი) ლარს, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა არ უნდა აღემატებოდეს 140 000 (ასორმოციათასი) ლარს.

4.საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge)

5.საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე

გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
6.საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე–4 ან მე–5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7.წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე ან კონკურსისათვის სტატუსის „კონკურსი დასრულდა უაყოფითი შედეგით“ მინიჭებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში,მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს (საკონკურსო კომისიის მიერ მოთხოვნილი საკონკურსო წინადადების დაზუსტება კონკურსანტი პირის მიერ მოხდება არაუგვიანეს 3 სამუსაო დღის განმავლობაში)

9.საკონკურსო წინადადების დალუქული კონვერტების მიღება იწყება 2015 წლის 29 ივნისს.
10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2015 წლის 2 ივლისს 14:00 საათზე.
11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით 2015 წლის 2 ივლისს 14:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ასათიანი ქ #9
12.დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
13.ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
16. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში; შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ–ს გარეშე.
- გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, არქიტექტურული კონცეფცია (არქიტექტურული გადაწყვეტა), ესკიზი (დიზაინერულიგადაწყვეტა), განმარტებითი ბარათი;
- ინფორმაცია კონკურსანტის, ან ამ პროექტის შესრულებაში მონაწილეების მიერ უკვე განხორციელებული ანალოგიური მომსახურების-არქიტექტურული პროექტის შესახებ (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად);
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
- რეკვიზიტები;
- ინფორმაცია 01.01.2013-31.12.2014 წლების განმავლობაში საპროექტოს სფეროში გაწეული მომსახურების შესახებ.

გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა ტექნიკური დავალების შესაბამისად შემდეგი სახით: არქიტექტურული კონცეფცია ესკიზური პროექტის ავტორისეული ხედვით, სამი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, ასევე იგივე ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF ფაილით, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს) ერთიანი პრეზენტაციის სახით შემდეგი შემადგენლობით: საპროექტო ორგანიზაციის დასახელება,რეკვიზიტები, განმარტებითი ბარათი პროექტის დახასიათებით; სამშენებლო სამუშაოებისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაციები (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები, შესასრულებელ სამუშაოებში გამოყენებული მასალები უნდა იყოს ხარისხიანი), 3D ვიზუალიზაცია (რენდერები).
შენიშვნა:საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.

17. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება.
შენიშვნა: ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

18. არ განიხილება ის საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (12000 ლარი),ხოლო

წარმოდგენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ღიერბულება აღემატება სავარაუდო ღირებულებას (140000 ასორმოციათასი ლარი).
19. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.5
სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ღიერბულება: კოეფიციენტი – 0.3
საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2
შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით
კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

1. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 30 დღეში საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს ექსპერტიზის ბიუროს დასკვნისა და ყველა საჭირო ნებართვების მიღების ვადებს (აღნიშნულ ვადაში მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს ნახაზები, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა 3 ეგზემპლარად, როგორც A3 ფორმატის ნაბეჭდი მასალა, ისე ელექტრონული სახით ჩაწერილი CD დისკზე (PDF ფაილით, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს), წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შედგენილი უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად.

საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს

სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: ----------

<u>სსიპ ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ სათაო ოფისის ტერიტორიაზე (მ. ასათიანის ქ. №9) მდებარე შენობების ფასადის (მ. ასათიანის ქუჩის მხარე) სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ტექნიკური პირობა:</u>

გამარჯვებულ კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი სახის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა :

- ცენტრალური შესასვლელის მხარეს (ასათიანი ქუჩა) 90 მეტრი არსებული ღობის მცირე რეკონსტრუქცია (დანართი №1);
- მანქანის შესასვლელის მოწყობა: 1. ცენტრალური - ტურნიკეტისა და საიდენტიფიკაციო ელექტრონული ბარათების წამკითხველებით და მსუბუქი კონსტრუქციის ელექტრო კარით; (დანართი №2), 2. სათადარიგო - მსუბუქი კონსტრუქციის ელექტრო კარით (დანართი №3);
- 21 კვ.მ დაცვის ოთახის რეკონსტრუქცია ცალმხრივად დაბურული შუშის ვიტრაჟებით, საშვთა ბიუროს ოთახით, რომელშიც იქნება ფეხითმოსიარულეთა შესასვლელი ტურნიკეტი და საიდენტიფიკაციო ელექტრონული ბარათების წამკითხველი არანაკლებ 2 ცალი (დანართი №4);
- ცენტრალური შესასვლელი კიბის რეაბილიტაცია (გასათვალისწინებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ასასვლელი) (დანართი №5);
- II სართულზე არსებული აივნის გარე ფასადის დიზაინის ცვლილება (დანართი №6);

- 3, 4 და 7 სართულიანი შენობების (ასათიანის ქუჩის მხარეს) ფასადის რეაბილიტაცია (ფასადზე გაკრული ეკლარის ფილების გარდა. სულ ფასადის ფართი მიახლოებით 1300 კვ.მ. აქედან ეკლარის ფილები გაკრულია 500 კვ. მ. ფართზე), გარე განათებით, კონდიციონერების შეფუთვით და ასათიანის ქუჩის მხარეს არსებული ელექტროქსელის მოწესრიგებით (დანართი №7 და №7-1);
- ფასადზე და ცენტრალურ შესასვლელებში ორგანიზაციის დასახელების განთავსება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
- არქიტექტურული ანაზომი (ფასადები, გეგმები, ჭრილები, დეფექტური აქტი);
- არქიტექტურული პროექტი;
- კონსტრუქციული პროექტი;
- ელექტრო ტექნიკური პროექტი (მოიცავს ქ. თბილისის მ. ასათიანის #9-ში მდებარე შენობის წინა ფასადის და შენობის გარე განათებას)
- სუსტი დენების პროექტი;
- მშენებლობის ორგ. პროექტი;
- ხარჯთაღრიცხვა (შესასრულებელ სამუშაოებში გამოყენებული მასალები უნდა იყოს ხარისხიანი);
- პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან და უნდა ჩაბარდეს კანონმდებლობით დადგენილ მშენებლობის ნებართვასთან ერთად (რომლის ფინანსური ხარჯის გაწევის და წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება ,,მიმწოდებელს“).
- საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა ლიცენზირებული ექსპერტიზის ბიუროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დასკვნის საფუძველზე (რომლის ფინანსური ხარჯის გაწევის და წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება ,,მიმწოდებელს“).
- ,,მიმწოდებელმა“ უსასყიდლოდ უნდა უზრუნველყოს სამუშაოების პროცესის საავტორო ზედამხედველობა მის დასრულებამდე.

შენიშვნა: საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით, ხოლოიმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე, ასევე თან ერთვის დანართები.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **------2015 წელი**

სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ტარიელ ჭანტურიძის სახით, და **----------,** შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად“**, წარმოდგენილი ---------- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 “დღე”, “კვირა“, “თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 “შემსყიდველი” - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 “მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 “მომსახურება” - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საფუძველი და საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (შემდგომში - მომსახურება) შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, CPV71320000.

2.2. . „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

2.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“

2.4. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს 30 დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ.ასათიანის ქ.#9.

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

4.1.3. უსასყიდლოდ უზრუნველყოს სამუშაოების პროცესის საავტორო ზედამხედველობა მის დასრულებამდე.

4.1.4. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები (მათ შორის ტექნიკური დავალების შესაბამისი მოთხოვნები(დანართი)).

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.2.2. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

4.2.3. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები

5. მომსახურების ხარისხი

მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე.

6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ცენტრის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი, რომელიც „მომსახურების“ გაწევისას წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების შესრულების კონტროლს.

6.3 ინსპექტრიების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარმოდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება „მიმწოდებელს“.

6.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.5 თუ ამ მუხლის 6.4 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება, უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება ხორციელდება კონტროლის განმახორციელებელი პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები.

7.2 ამ მუხლის „7.1“ პუნქტის შესასრულებლად შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მომსახურების დასრულებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადასცეს მიმწოდებელს ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მომსახურების წუნის გამოვლენის შემთხვევაში იმავე ვადაში წერილობით წარუდგინოს მას მოტივირებული უარი მომსახურების მიღებაზე. თუ მოცემული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველისაგან არ მიიღებს ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს ან მის ხელმოწერაზე მოტივირებულ უარს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი ჩაითვლება ხელმოწერილად.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

8.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.4 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2. ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%–ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10.5. პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.6. მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ მის: თბილისი, მ. ასათიანის ქ.9 ს/კ: 211324351 სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22 ა/ნ: GE24NB0330100200165022 გენერალური დირექტორის მოადგილე ტარიელ ჭანტურიძე _____ ბ.ა.	_____